GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

05 Kasım / ნოემბერი 2021

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	12.8 %

Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში

Ekim 2021'de bir önceki aya göre Gürcistan'da enflasyon %1.3 yıllık enflasyon oranı ise %12.8 olarak teşkil etmiştir. Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:

2021 წლის ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.3% ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8% შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:



1. Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 18.4%
   - Sebze / ბოსტნეული - 43.0%
   - Yağlar / ზეთი და ცხიმი - 31.6%
   - Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 19.4%
   - Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 18.2%
   - Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 18.0%
   - Balık / თევზეული - 16.0%
   - Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 13.0%
   - Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 11.2%
   - Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 6.4%
2. Ulaşım / ტრანსპორტი - 19.6%
3. İçme su, elektrik ve gaz / წყალი, ელ. ენერგია, აირი - 11.9%
4. Sağlık hizmetleri / ჯანდაცვა - 8.4%

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Gürcistan Milli Banka Başkan Yardımcısı Archil Mestvirishvili'ye göre, yıllık enflasyon oranı önümüzdeki dört ay boyunca aynı seviyede kalacak. Başkan Yardımcısına göre Diğer yeni riskler ortaya çıkmazsa, Mart ayından itibaren enflasyonda önemli ölçüde düşüş görmüş olacağız.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის არჩილ მესტვირიშვილის განცხადებით, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში შენარჩუნდება. მისივე განმარტებით ახალი რისკების არ გამოჩენის შემთხვევაში, მარტიდან უნდა დავინახოთ ინფლაციის მკვეთრი შემცირება.

Mikro Finans Firmaların Kar Oranı 6 Kat Arttı
მიკროსაფინანსოების წმინდა მოგება 6-ჯერ გაიზარდა

2021'in üçüncü çeyreğinde mikro finans kuruluşların elde ettiği kar rekor rakamlara ulaştı. Sektörün net karı 78,7 milyon Lari aşmıştır ve bu rakam bir önceki çeyreğe göre 20 milyon ile, bir önceki yılın aynı dönemine göre ise 66 milyon Lari ile daha fazladır.

Sektör, 2021 yılının üçüncü çeyreğini 78 769 680 GEL net kârla sonlandırırken, provizyon öncesi net kâr 85 488 927 GEL oldu. Bir önceki yılın aynı döneminde, sektörün net karı 12 719 618 GEL, provizyon öncesi net kar ise 69 417 846 GEL'di.

Verilere göre sektörün faizden elde edilen gelir 236 869 207 GEL olup, bunun 212 281 775 GEL'i bireysel kredilerden, 6 475 334 milyon GEL ise tüzel kişilere verilen kredilerden oluşmuştur.

Faiz dışı gelir 38 639 512 GEL olarak gerçekleşti. Sektör komisyonlardan ve çeşitli hizmetlerden 37 668 292 GEL kazanmıştır.

2021 yılının üçüncü çeyreğinde piyasada 39 mikro finans kuruluş faaliyet gösteriyordu. Sektörün varlıkları 1.583 milyar GEL, toplam sermaye ise 560.1 milyon GEL'dir.

2021 წლის მესამე კვარტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რეკორდულ მოგებაზე გავიდნენ. სექტორის წმინდა მოგებამ 78.7 მლნ ლარს გადააჭარბა. ეს თითქმის 20 მლნ ლარით მეტია წინა კვარტალთან შედარებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით კი 66 მლნ ლარით მეტია.

2021 წლის მესამე კვარტალი სექტორმა 78 769 680 ლარის წმინდა მოგებით დაასრულა, რეზერვირებამდე წმინდა მოგებამ კი 85 488 927 ლარი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში მისო-ების წმინდა მოგებამ 12 719 618 ლარი შეადგინა, რეზერვირებამდე წმინდა მოგება კი 69 417 846 ლარი იყო.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

მონაცემების თანახმად საპროცენტო შემოსავალმა 236 869 207 ლარი შეადგინა, საიდანაც 212 281 775 ლარი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალია, 6 475 334 მლნ ლარი კი იურიდიული პირებიდან მიღებული შემოსავალი იყო.

არა საპროცენტო შემოსავლებმა 38 639 512 ლარი შეადგინა. საკომისიო და გაწეული მომსახურებიდან სექტორმა 37 668 292 ლარის შემოსავალი მიიღო.

2021 წლის მესამე კვარტალში ბაზარზე 39 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებდა. სექტორის აქტივები 1.583 მლრდ ლარი იყო, მთლიანი კაპიტალი კი 560.1 მლნ ლარი.

Güney Gaz Koridoru
სამხრეთ გაზის დერეფანი

Azerbaycan Cumhurbaşkanı İlham Aliyev, "COVID-19'dan Sonra Dünya" başlıklı bir foruma katıldı. Açılışta konuşan Cumhurbaşkanı, Azerbaycan'ın Güney Gaz Koridoru üzerinden 14 milyar metreküp doğalgaz tedarik ettiğini söyledi. Cumhurbaşkanın dediği gibi, yılın başından bu yana Güney Koridoru üzerinden Gürcistan, Türkiye, İtalya, Bulgaristan ve Yunanistan'a 14 milyar metreküp gaz verildi ve tüm bunlar doğal gaz fiyatında kriz yaşanmadan gerçekleştirildi.

Azerbaycan'ın Güney Gaz Koridorunun bir parçası olan Trans-Adriyatik Boru Hattı üzerinden Avrupa'ya ticari gaz sağlamaya başladığını hatırlatmak isteriz. Boru hattının ana gaz kaynağı, rezervleri 1,2 trilyon metreküp olarak tahmin edilen Şah Deniz sahasıdır. Tedarikinin 25 yıl boyunca devam edeceği öngörülmüş olup, Avrupa'ya yıllık olarak 10 milyar metreküpten daha fazla gaz verilmesi planlamaktadır.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, მონაწილეობა მიიღო ფორუმში სახელწოდებით „მსოფლიო COVID-19-ის შემდეგ“. გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე სამხრეთ გაზის დერეფნით 14 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი გაატარა. მისი აღნიშვნით სამხრეთის დერეფნით საქართველოში, თურქეთში, იტალიაში, ბულგარეთსა და საბერძნეთში წლის დასაწყისიდან მიწოდებულია 14 მლრდ კუბური მეტრი გაზი და ეს ყველაფერი ბუნებრივი აირის ფასის კრიზისის გარეშე მოხდა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანმა ევროპისთვის კომერციული გაზის მიწოდება ტრანს ადრიატიკის მილსადენით დაიწყო, რომელიც სამხრეთის გაზის დერეფნის შემადგენელი ნაწილია. გაზსადენის მთავარი გაზის წყარო შაჰ-დენიზის საბადოა, რომლის მარაგები 1,2 ტრილიონ კუბურ მეტრად არის შეფასებული. მიწოდება გათვლილია 25 წელიწადზე და ითვალისწინებს წლიურად 10 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი გაზის მიწოდებას ევროპისთვის.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Covid – 19

Gürcistan'da günlük Kovid-19 vaka sayısı tekrar yüksek olup günde 5340 'a ulaşmaktadır. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 30 881'e ulaştı (ortalama: 4411 kişi/gün). Bu hafta en yüksek günlük oran 3 Kasım'de kaydedildi – 6024. Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.
Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 738 171 ulaştı. Can Kaybı – 10238, iyileşenlerin sayısı – 678 288, aktif vaka ise – 49 645. Halihazırda hastanelerde 6666, otellerde ise 1242 kişi tedavi görüyor, 36 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %9.66'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %9.45'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %9.99'e eşittir.

Bunun yanı sıra Gürcistan'da aşılama süreci de devam etmektedir. Şu an için toplam 1 995 150 kişi aşılandı. Aşı için kayıtlar devam etmektedir. Kayıt portal: https://booking.moh.gov.ge

Dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 249 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 249 343 498; Can Kaybı – 5 045 077; İyileşen kişi sayısı – 225 848 179. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Ukrayna ve Rusya'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევები ისევ მაღალია და დღიურად 5340 -ს უტოლდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 30 881-ს უტოლდება - 4411 კაცი საშუალოდ დღეში. ყველაზე მაღალი დღიური მაჩვენებელი 3 ნოემბერს დაფიქსირდა - 6024 ინფიცირებული. ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.
სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 738 171 შეადგინა, გარდაიცვალა 10 238, გამოჯანმრთელდა 678 288, ხოლო 49 645 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 6 666 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1242 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 36 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 9.66%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 9.45%, ხოლო 7 დღის 9.99%.
პარალელურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. საქართველოში ჯამურად აცრა 1 995 150 ადამიანს ჩაუტარდა. ვაქცინაციაზე რეგისტრაცია უწყვეტად მიმდინარეობს. რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 249 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 249 343 498 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 5 045 077, ხოლო გამოჯანმრთელდა 225 848 179 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, უკრაინას და რუსეთს ჰყავს.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1636 **TRY/GEL** – 0.3257 **EUR/GEL** – 3.6512 **GBP/GEL** – 4.3113

USD/GEL

29 – 05 Kasım 2021

USD/TR

29 – 05 Kasım 2021

TRY/GEL

29 – 05 Kasım 2021

BTC – 62 448. 50

29 – 05 Kasım 2021